

ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

3 ოქტომბერი, 2013

ქვემოთ, თავდაპირველად წარმოდგენილია ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებული ის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხები, რომელთა გამო მწვანე ალტერნატივა ეწინააღმდეგება პროექტის განხორციელებას შემოთავაზებული სახით. შემდგომ წარმოდგენილია 2013 წლის სექტემბერში, კომპანია „ტრანს ელექტრიკას“ მიერ ხაიშსა და თბილისში ორგანიზებულ საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული პროცედურული დარღვევები. დასასრულს კი, მოკლედ აღწერილი ამ დრომდე ადგილობრივ მოსახლეობაზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კომპეტენტურ უწყებებზე ზეწოლასთან დაკავშირებული საკითხები.

➤ სოციალური საკითხები

პროექტის ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია და მეორე პლანზე აყენებს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ რისკებს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პირდაპირი (უშუალოდ დატბორვის ზონაში) და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიშისა და ჭუბერის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სამოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა; გადასახლება მოუწევს დაახლოებით 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის. გარდა ამისა, გადასახლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინების გარეშე კი, ასეთი ფრაგმენტაცია (რომელიც სვანებმა ახლო წარსულში უკვე განიცადეს სტიქიური მოვლენების გამო) დამანგრეველ ზეგავლენას იქონიებს სვანთა მცირერიცხოვან ეთნოგრაფიულ ჯგუფზე. ამასთან, კომპანია „ტრანს ელექტრიკა“ დღემდე ცდილობს დამალოს მოსახლეობაზე ზეგავლენის რეალური მასშტაბი და არ ასახოს ანგარიშებში იმ დაზარალებული სოფლების ინტერესები, რომლებიც დატბორვის ზონის გარეთ ხვდება.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშთან ერთად არ გამოქვეყნებულა განსახლების გეგმა, რაც გზმ დოკუმენტაციის განხილვას საერთოდ აზრს უკარგავს. პროექტის განმახორციელებლები, საუბრობენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და მისი სტანდარტების გამოყენებაზე; თუმცა, მათ მიერ გამოყენებული მეთოდიკა ძალზე შორს დგას, როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობისგან, რომელიც მოითხოვს გასასახლებელ პირებთან დეტალურ, მიზნობრივ კონსულტაციებს, მონაწილეობის შესაძლებლობას განსახლების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ხაზგასასმელია, რომ საზოგადოებასთან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებთან კონსულტაციის გარეშე, პროექტისათვის საჭირო 1500 ჰექტარი მიწა და მასზე განლაგებული უძრავი ქონება, მათ შორის, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქონება და ასევე, 178 მილიონ აშშ დოლარად

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

შეფასებული სამუშაოები, რომელიც გაწეულ იქნა საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის საპროექტო არეალში, სიმბოლურ 1 აშშ დოლარად გადაეცა ინვესტორ კომპანიას.

გადასასახლებელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გადასახლების წინააღმდეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობის ნაწილი უკვე იყო გადასახლებული, თუმცა გადასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ გაძლო და კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ საცხოვრისს. ამ ოჯახებისთვის ხელმეორედ გადასახლება კიდევ უფრო რთული და მიუღებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტების შედეგად იძულებითი განსახლების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მათ შორის, უზრუნველყოფდა გადასახლებულთა ცხოვრების ადეკვატურ დონეს, როგორც ეს მოთხოვნილია შესაბამისი საერთაშორისო აქტებით.

➤ ეკონომიკური საკითხები

არ არის ნათელი, რა სარგებელს მიიღებს პროექტის განხორციელებით საქართველო. პროექტი, ცალსახად, მომგებიანია ინვესტორისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტომატურად, რომ სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია. მეტად სადავოა პროექტის მხარდამჭერთა მტკიცება ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ყოველწლიურ 10%-იან ზრდასთან დაკავშირებით. საექვო და ტენდენციურია, ასევე, მტკიცება ქვეყნის ენერგო-დამოუკიდებლობის საქმეში ხუდონჰესის პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ: ხუდონჰესიდან სახელმწიფო ყოველწლიურად მიიღებს მხოლოდ 133,9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას 5.84 აშშ ცენტად (რაც შეადგენს ხუდონჰესის მიერ გამომუშავებული მთელი გამომუშავებული ენერჯის დაახლოებით 7%-ს), ხოლო დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს საერთაშორისო ფასად ელექტროენერჯის შეძენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პროექტი განკუთვნილია საექსპორტოდ. არ განიხილება ქვეყნის ენერგოდეფიციტის შევსების ისეთი ალტერნატივები, როგორიცაა ენერგოეფექტურობა და არსებული ჰესების სრული რეაბილიტაცია. არასათანადოდაა განხილული, ასევე, ხუდონჰესის სხვა, ალტერნატიული საინჟინრო გადაწყვეტების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგები. საქართველოს ენერგო-სისტემისთვის ხუდონჰესის განსაკუთრებულ როლზე მსჯელობა აბსურდულია იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას დღემდე არ აქვს განვითარების სტრატეგია და გეგმა, ენერგეტიკის სამინისტროს კი, დღემდე არ შეუმუშავებია ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა; ასევე, 2001 წლის შემდეგ არ შედგენილა ქვეყნის ენერგო-ბალანსი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხუდონჰესი, ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეული, უმნიშვნელო სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, რაც გამოიხატება ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზებაში. ასევე, პროექტს ექნება უმნიშვნელო მაკროეკონომიკური სარგებელი, მშპ-ის ზრდის თვალსაზრისით (არა იმ მოცულობით, რაც გზმ ანგარიშშია მოცემული), თუმცა იმ ზარალის ფონზე, რაც აღნიშნული პროექტის განხორციელებით მიადგება რეგიონსა და მთლიანად ქვეყანას, პროექტის სარგებელი მიზერულია.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არც თავად ჩაუტარებია და არც ინვესტორისთვის მოუთხოვია ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის ჩატარება. საზოგადოდ, როდესაც უცხოური ინვესტიციები დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასთან, ეს არ ნიშნავს ჯანსაღ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. მითუმეტეს, როდესაც საქართველოს ზომის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე სურვილს გამოთქვემენ ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვა გიგანტი ქვეყნები.

➤ ეკოლოგიური საკითხები

გარემოსთან დაკავშირებული კვლევები ძალზე არასრულყოფილია და არ იძლევა რეალურ სურათს იმისათვის, რომ შეფასდეს პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული ზარალი. გზმ დოკუმენტის მიხედვით, პროექტის განხორციელების შედეგად განადგურდება არაერთი სახეობის იშვიათი, ენდემური და საფრთხის წინაშე მყოფი მცენარე. მოისპობა არაერთი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის ცხოველის საბინადრო გარემო. ხელახალი ფაუნისტური კოპლექსების ჩამოყალიბებას, ათეულობით წელი დასჭირდება, თუმცა, მათი სრულად აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გარემოზე რეალური ზეგავლენის დასადგენად, მთელი რიგი კვლევები მომავალში უნდა განხორციელდეს; ეს კი, არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ვინაიდან გზმ ანგარიშში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა საჭირო კვლევა. გზმ დოკუმენტში საუბარია მთელ რიგ შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებზე, რომლებიც უცვლელად, ერთი და იმავე წინადადებების სახით გადადის სხვადასხვა ქართველი კონსულტანტის მიერ

მომზადებულ გზმ ანგარიშებში (ცოცხალ მცენარეთა გადარგვა შესაბამის საკონსერვაციო ცენტრებში, მცენარეთა გამრავლება ბუნებაში შეგროვებული თესვებით, მცენარეთა ცოცხალი კოლექციების შექმნა საკონსერვაციო ცენტრებში), მაგრამ ფაქტიურად არასოდეს არ სრულდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსაც არცერთ შემთხვევაში არ მოუხდენია რეაგირება პროექტის განმახორციელებლის მიერ ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

გაუგებარია, თუ რაოდენობის ტყის ეკოსისტემები განადგურდება/დაიტბორება პროექტის განხორციელების შედეგად. პროექტიდან ცნობილია, რომ ხუდონჰესის წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება 528 ჰა. მდინარე ენგური მოქცეულია ძალზე დამრეცი ფერდობების მქონე ხეობაში, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ზუსტად 528 ჰა ფართობი დაიტბოროს. ასეთი მეთოდით დასატბორი ფართობის შეფასების გამო, არასწორადაა შეფასებული კლიმატის ცვლილების ზეგავლენისა და ბიომრავალფეროვნების შემცირების საკითხები.

არ არის გათვალისწინებული, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ეკოსისტემურ სერვისებზე მიყენებული ზიანი და მათი ღირებულება. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად, ბორჯომის რაიონში დაახლოებით ასეთივე რაოდენობით ტყის ეკოსისტემა განადგურდა. იმ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ ეს ზიანი ეკოციდად, ხოლო სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ გარემოზე მიყენებული ზიანი 1 მილიარდ აშშ დოლარად შეაფასა. ამას უნდა დაემატოს რეგიონში არსებული სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა საბადოების ღირებულება. აქედან გამომდინარე, კომპანიისათვის 1 დოლარად გადაცემულ ქონების რაოდენობაზე საუბრისას, უნდა ვიგულისხმოდ არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაწყებული პროექტის განხორციელების თანხები, არამედ პროექტის განხორციელების შემთხვევაში განადგურებული ეკოსისტემური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების ღირებულებაც.

გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის აღწერილი ის კუმულატიური ზემოქმედება, რომელსაც განიცდის ბიომრავალფეროვნება საპროექტო არეალში მოქმედი ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივადიანი ლიცენზიების საფუძველზე მიმდინარე ხე-ტყის დამზადების შედეგად. ცნობილია, რომ ქართულ ჩინური კომპანია ფლობს 20-წლიან ხე-ტყის დამზადების ლიცენზიას (38 000 ჰა, მათ შორის, ხუდონისა და ჯვრის სატყეოები), ასევე გაცემულია 5 და 10-წლიანი ხე-ტყის დამზადების 25 ლიცენზია ხაიშისა და ჭუბერის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებიც ჯამში 18 000 ჰა-ზე მეტს მოიცავს. გზმ ანგარიშში განხილულია მხოლოდ ნენსკრაჰესის კუმულატიური ზეგავლენა, თუმცა, არსებული ინფორმაციის თანახმად (ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N125 ბრძანება), ენერგეტიკის სამინისტრო მდინარე ენგურზე გეგმავს ცხრა ჰესის აშენებას, მათ შორის სამი ჰესი - ხაიშიჰესი (670 მგვტ), ფარიჰესი (230 მგვტ) და ტობარიჰესი (250 მგვტ), დიდი, წყალსაცავიანი ჰესებია. გარდა ამისა, ენერგეტიკის სამინისტრომ, მთავრობის სახელით, რამდენიმე დღის წინ დადო მემორანდუმი ნენსკრას შესართავებზე ჰესების მშენებლობის თაობაზე; იგეგმება ჰესების მშენებლობა მდინარე მესტიაჰალაზეც.

ენერგეტიკის სამინისტროს გეგმებიდან და წარმოდგენილი გზმ ანგარიშიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არც ინვესტორი და არც სახელმწიფო არ აპირებენ საკომპენსაციო, ოფსეტური ღონისძიებების განხორციელებას, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დიდი ფართობის და მაღალი კონსერვაციული სტატუსის (ნაკრძალი, ეროვნული პარკი) დაცული ტერიტორიების შექმნას და წყალშემკრებების დაცვას. სამწუხაროდ, დღემდე, სვანეთის ტერიტორიაზე არ არსებობს არცერთი კვადრატული მეტრი დაცული ტერიტორია. ამ რეკომენდაციას იძლევა ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისიაც. ასევე, ხუდონჰესის პროექტის ავტორი, ანზორ ჭითანავა აღნიშნავს, რომ საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესი ისე დაიგეგმა, რომ მისი აშენების შემთხვევაში, ენგურის ზედა დინებაში (მისი შენაკადების ჩათვლით) სხვა ჰესი არ უნდა აშენებულიყო. დღეს ხელისუფლება და ენერგეტიკის სამინისტრო საპირისპიროდ მოქმედებს, რაც შეუქცევად ზიანს მიაყენებს სვანეთის უნიკალურ ბუნებრივ გარემოს.

➤ პროექტის გზმ ანგარიშის საჯარო განხილვები

განხილვა დაბა ხაიშში, 2013 წლის 17 სექტემბერი: განხილვის წინა დღეს, 16 სექტემბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ერთად, ხაიშს ეწვია კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დირექტორი პაატა წერეთელი; ისინი შეხვდნენ ათამდე ადგილობრივ მცხოვრებს. პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მოითხოვა, რომ საჯარო განხილვისას ადგილობრივებს არ გამოეხატათ პროტესტი პროექტის წინააღმდეგ და არ გამოეფინათ საპროტესტო პლაკატები.

საჯარო განხილვა დანიშნული იყო 14:00 სთ-ზე ხაიშის გამგეობის ადმინისტრაციული შენობაში, თუმცა თავად შენობის კარზე გამოკრულ განცხადებაში არასწორად იყო მითითებული საჯარო განხილვის ადგილი.

განხილვის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე, დაახლოებით 10.00 სთ-ზე, დაიწყო არაადგილობრივი პოლიციელების შეკრება ხაიშის პოლიციის შენობაში. მობილიზებული იყო 20-მდე პოლიციელი, ზოგიერთი მათგანი აღჭურვილი იყო ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით. მოგვიანებით, მათ კიდევ დაემატა 20-მდე პოლიციელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილესთან და მესტიის პოლიციის უფროსთან ერთად. კითხვაზე, თუ რატომამა ამდენი პოლიციელი მოსული საჯარო განხილვაზე, პოლიციის წარმომადგენელმა (ზურგზე წარწერით „Police Press“) განაცხადა, რომ ხაიშში ყოველ თვე, რეგულარულად ხდება პოლიციის ასეთი შეკრება. სოფლის წარმომადგენელმა, რომელიც ამ პასუხს შეესწრო, განაცხადა, რომ ამ დრომდე სოფელში არასდროს ენახათ ამდენი პოლიციელი ერთად. საჯარო განხილვის დაწყებამდე, პოლიციის რამოდენიმე თანამშრომელი შეხვედრის ოთახში განლაგდა. პოლიციელების ასეთი ქცევა მიუღებელია და შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პროექტისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების გაჩუმების მცდელობა.

საჯარო განხილვის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, გამგეობის შენობასთან მივიდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი და შენობის წინ შეკრებილ ადგილობრივებს განუცხადა, რომ ხუდონჰესი ნებისმიერ შემთხვევაში აშენდება. იგივე გაიმეორა მან შეხვედრის დაწყების შემდეგაც. ამან ძალზე დაძაბა სიტუაცია.

შეხვედრისთვის განკუთვნილი ოთახი იყო ძალზე მცირე და შეხვედრაზე დასწრების ყველა მსურველი ვერ დაიტია. შეზღუდული რაოდენობით იყო ასევე დასაჯდომი ადგილები (რაც მიუღებელია ასეთ სიტუაციაში, ვინაიდან განხილვაზე მოსული იყო ბევრი მოხუცი და ბავშვიანი მოქალაქე ხაიშიდან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სხვა სოფლებიდან). ამის გამო, შეხვედრა დაიწყო 40 წუთის დაგვიანებით, სკოლის წინ, მზის გულზე, ხმის გამაძლიერებელი შესაბამისი ტექნიკის გარეშე.

გაურკვეველი მიზეზით, კომპანიის წარმომადგენლების ნაცვლად, მთავარი მომხსენებელი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი იყო. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის შენიშვნებისა და მოსაზრებების მოსმენის ნაცვლად, ის ამტკიცებდა პროექტის განხორციელების გარდაუვალობას და ეკამათებოდა ყველას, ვინც პროექტის მიმართ შემოფოთებას გამოხატავდა.

ღია ცის ქვეშ 3-საათიანი მიტინგის შემდეგ, ხალხმა გადაინაცვლა შენობაში. 10 წუთის შემდეგ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მოითხოვეს შეხვედრის შეწყვეტა, ვინაიდან აღმოაჩინეს, რომ ოთახში, ძირითადად, იმყოფებოდნენ ინვესტორის წარმომადგენლები, კონსულტანტები, საჯარო მოხელეები და პოლიციელები. ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა ეს მიუღებლად მიიჩნიეს, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ასეთი სახით განხილვას მათი ინტერესების საზიანოდ გამოიყენებდნენ.

ხაიშის საჯარო განხილვის ვიდეოები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

- <http://www.youtube.com/watch?v=rRv23UQdkBo>
- <https://www.youtube.com/watch?v=bOcgNs6sLWY>
- <https://www.youtube.com/watch?v=TrU1zbOVkoA>
- <http://www.youtube.com/watch?v=yIsBdn6YNf4>
- <http://www.youtube.com/watch?v=zC5jo8MIh8U&feature=youtu.be>
- https://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=BTu1mFH3Lwk
- <http://www.youtube.com/watch?v=3HGckhqa9NA>
- <http://www.youtube.com/watch?v=rRv23UQdkBo>
- <http://www.youtube.com/watch?v=j1BswlBk0To>
- <http://www.youtube.com/watch?v=HF7QdfiRzks>

განხილვა თბილისში, 2013 წლის 19 სექტემბერი: საჯარო განხილვა შედგა თბილისში, სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“. შეხვედრის დარბაზში შესვლამდე, კომპანია აწარმოებდა დამსწრეთა რეგისტრაციას - კომპანიის წარმომადგენელი იწერდა მონაწილის სახელსა და გვარს, სამუშაო ადგილს, ტელეფონს, რასაც მონაწილე ადასტურებდა ხელმოწერით. აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება გზმ ანგარიშების საჯარო განხილვის პრინციპებს, ვინაიდან გარკვეულწილად ზღუდავს დამსწრეთა მიერ აზრის გამოხატვის შესაძლებლობას. დარბაზის შესასვლელს იცავდა კომპანია „ტრანს ელექტრიკას“ წარმომადგენელი და ქმნიდა ბარიერს შემსვლელთათვის, რომლებმაც დროებით დატოვეს დარბაზი ან დაიგვიანეს (ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ). კომპანიის წარმომადგენელი იქცოდა უხეშად და შეურაცხყოფილად.

რეგისტრაციის მაგიდიდან ვრცელდებოდა კომპანიის სამგვრედანი სარეკლამო ბუკლეტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ხუდონჰესის პროექტის უპირატესობების შესახებ. ბუკლეტში არ იყო წარმოდგენილი გზშ ანგარიშში ასახული საკითხები, მათ შორის, პროექტის აღწერა, ალტერნატივები, ზემოქმედების სახეები, მასშტაბი და ა.შ. ამდენად, მას არ ჰქონდა კავშირი გზშ ანგარიშის საჯარო განხილვასთან.

დღის წესრიგის მიხედვით, შეხვედრის ხანგრძლივობა სულ ორი საათი იყო. აქედან, 10 წუთი - სტუმრების მიღებას დაეთმო, 20 წუთი - მისალმებას, ერთი საათი - პრეზენტაციებს, 20 წუთი - კითხვა-პასუხს და 5 წუთი - დასკვნით შენიშვნებს. მონაწილეთა რაოდენობიდან და პროექტის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე, თავიდანვე ცხადი იყო, რომ 20 წუთში კითხვების დასმა და მათზე პასუხის მიღება ვერ მოხერხდებოდა. დარბაზში არ იყო, ასევე, შეხვედრაში მონაწილეობის მსურველთათვის საკმარისი სკამები.

შეხვედრა გახსნა ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია ელოშვილმა. ამას მოჰყვა შეხვედრის მონაწილეთა ნაწილის პროტესტი; მათი აზრით, მინისტრის მოადგილეს არ ჰქონდა უფლება, ინვესტორის ნაცვლად, წარედგინა და დაეცვა გზშ დოკუმენტი - ეს კანონმდებლობის დარღვევა იყო. საპასუხოდ, მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ამის უფლებას მას აძლევდა ინვესტორ კომპანიასა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება და ეს მისი არათუ უფლება, ვალდებულებაც კი იყო.

პირველი პრეზენტაციის (გზშ ანგარიში წარმოადგინა „ტრანს ელექტრიკას“ კონტრაქტორმა ორგანიზაციამ CENN-მა) დასრულების შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებმა ითხოვეს დამაზუსტებელი კითხვების დასმა, თუმცა შეხვედრის წამყვანმა, კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დირექტორმა პაატა წერეთელმა მათ ამის საშუალება არ მისცა. მან განაცხადა, რომ შეკითხვების დასმის შესაძლებლობა მონაწილეებს მეორე პრეზენტაციის შემდეგ მიეცემოდათ, როგორც ეს დაგეგმილი იყო დღის წესრიგით; მიუხედავად დაპირებისა, საბოლოოდ მონაწილეებს მაინც არ მიეცათ კითხვების დასმის საშუალება. მეორე პრეზენტაცია დაეთმო განსახლების პრინციპების წარდგენას, თუმცა თავდაპირველად წარმოჩენილი იყო როგორც განსახლების გეგმის პრეზენტაცია. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ, დაიწყო დისკუსია. დისკუსია გაიმართა ზოგად საკითხებზე; ზოგადად, ჰესების მშენებლობის და არა კონკრეტული გზშ ანგარიშის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეთა დიდ ნაწილს არ მიეცა არც ინფორმაციის დაზუსტების, კითხვების დასმის და არც აზრის გამოხატვის საშუალება.

დღის წესრიგით შეხვედრისთვის გამოყოფილი დროის ამოწურვისას, შეხვედრის წამყვანმა, კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დირექტორმა მწვანე ალტერნატივას ერთ-ერთი წარმომადგენელი (რომელიც ამ დროს ვიდეო-გადაღებას აწარმოებდა) უსაფუძვლოდ დაადანაშაულა შეხვედრის სხვა მონაწილის სიტყვიერ შეურაცხყოფაში; ამ დროს დარბაზში მყოფი დაუდგენელი პირი (კომპანიის წარმომადგენლებმა უარყვეს ამ პირის კავშირი კომპანიასთან; თავად ამ პირმა კი, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის მწვანე ალტერნატივას თანამშრომელი იყო) შეეცადა მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის ძალის გამოყენებით დარბაზიდან გაეყვანას. ამას მოჰყვა ხმაური და აურზაური დარბაზში. ამასობაში შესრულდა 13.00 საათი და კომპანიის დირექტორმა პაატა წერეთელმა შეხვედრა დასრულებულად გამოაცხადა (მან განაცხადა, რომ დარბაზი კომპანიას მხოლოდ ორი საათით ჰქონდა დაქირავებული). მონაწილეები შეხვედრის ამგვარად დასრულებას უკმაყოფილო შემახილებით შეხვდნენ, ვინაიდან პრაქტიკულად, ძალზე ცოტას მიეცა აზრის გამოხატვის საშუალება.

თბილისის საჯარო განხილვის ვიდეო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<http://www.youtube.com/watch?v=cAAjzdcDDq0>

➤ **ზეწოლა ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპეტენტურ უწყებებზე**

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საფუძველზე. გზშ-ს ატარებს პროექტის ინიციატორი/განმახორციელებელი (ამ შემთხვევაში, კომპანია „ტრანს ელექტრიკა“); მის ხარისხს და შესაბამისობას საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან კი, ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში, ამოწმებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სამინისტრო, ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე, გაცემს დადებით ან უარყოფით დასკვნას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ. კანონმდებლობით, არც საქართველოს პრემიერ-მინისტრს და არც ენერგეტიკის სამინისტროს არ გააჩნიათ რაიმე უფლებამოსილება ჩაერიონ და ზეგავლენა მოახდინონ ზემოთ აღნიშნული უწყებების მიერ პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ყველაფერი საპირისპიროდ ხდება. ხუდონჰესის გზშ პროცესი მიმდინარეობს სერიოზული დარღვევებით; ადგილი აქვს მაღალი თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილებების გადამეტებას, რაც აისახება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასა და გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებზე ზეწოლაში.

კანონმდებლობით, ენერგეტიკის სამინისტროს არ გააჩნია უფლებამოსილება, წარმართოს გზშ პროცესი, საჯარო განხილვებზე ან მედიის საშუალებით, პროექტის განმახორციელებელი კომპანიის ნაცვლად, გასცეს პასუხი საზოგადოების წარმომადგენელთა კითხვებს, ან კომპანიის სახელით გასცეს დაპირებები (უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურად იქცეოდა გასულ წელს ხუდონჰესის პროექტის გზშ ანგარიშის საწყისი კვლევის საჯარო განხილვაზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი). ამგვარ „ჩარევას“ ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე ილია ელოშვილი ამართლებს 2011 წელს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ტრანს ელექტრიკას“ შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულების (პუნქტი 4.12(ა)) არასწორი ინტერპრეტაციით. აღნიშნული დებულების თანახმად, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს კომპანიას პროექტის განხორციელებაში, მათ შორის, აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებაში, იმ წინაპირობით, რომ კომპანია დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. დებულება, გარკვეულწილად, ინტერესთა კონფლიქტს უქმნის, როგორც საქართველოს მთავრობას, ისე მის კონტროლს დაქვემდებარებულ იმ ორგანოებს, რომელთა უშუალო კომპეტენციასაც წარმოადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა; მაგრამ ეს დებულებაც კი, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ენერგეტიკის სამინისტროს თანამდებობის პირები, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, „დაეხმარონ“ კომპანიას და კანონზე მაღლა დააყენონ ერთი კერძო კომპანიის თუ უწყებრივი ინტერესები.

გზშ-სა და კომპეტენტური უწყებების მიერ პროექტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სრულ დისკრედიტაციას ახდენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომელიც მან ხაიშში დაგეგმილ საჯარო განხილვამდე ერთი დღით ადრე, 16 სექტემბერს, აჭარაში სხვა ჰესის მშენებლობის გახსნისას გააკეთა. კერძოდ, მან აღნიშნა შემდეგი:

„სტრატეგიულად ჩვენ ძალიან გვჭირდება ჰესების მშენებლობა და ჩვენ ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ... ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ავაშენოთ რაც შეიძლება მეტი ჰესი... ხვალ განიხილება ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი და აქც მინდა საყვარელ სვანებს მივმართო, რომ გაგებით, დინჯად მოეკიდონ ამ ამბავს. ეს სვანეთის რეგიონსაც აუცილებლად ააღორძინებს. აუცილებელი და სავალდებულოა, რომ ჩვენს შვილებს დავუტოვოთ განვითარებული საქართველო. ყურადღებით მოეკიდეთ და გაითვალისწინეთ, რომ ხუდონჰესი არის ასაშენებელი, როგორც სხვა ბევრი ჰესი... არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შეუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებიც ხმაურობენ და მათ მეტი არაფერი არ შეუძლიათ“.

გარდა აღნიშნულისა, საჯარო შეხვედრებზე, ასევე, მედიის საშუალებით, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება სიძულვილის ენის გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების და ხუდონჰესის მიმართ კრიტიკულად განწყობილთა დისკრედიტაციას.

ყოველივე აღნიშნული, ძირს უთხრის მთელ გზშ პროცესს და ხელ უშლის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს, მიუკერძოებლად და ობიექტურად მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები დაგეგმილი პროექტის შესახებ.